MOD 1 16 00311726

04/04/2016

საქართველოს თავდაცვის მინისტრის
პირველ მოადგილეს ბატონ დავით ებრალიძეს

სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამეტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებლის თენგიზ ნასარიძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ შესყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით ერთი სატენდერო/საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური შეადგენს 50 ლარს, ხოლო ტენდერში/კონკურსში წინადადების წარმოუდგენლობის შემთხვევაში საფასურის ოდენობა მცირდება 25 ლარამდე. ასევე, პრეტენდენტის მხრიდან წინადადების წარდგენის საფასურის ოდენობა შეადგენს 50 ლარს. შესაბამისად, ტენდერის/კონკურის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება იწვევს 100 ლარის დანახარჯს, ხოლო როდესაც შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ არის მაღალი, სახელმწიფო შესყიდვების ტენდერის/კონკურსის საშუალებით განხორციელება, სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით გაუმართლებელია.

აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3^1 პუ ნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის N27 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფად არ განიხილება შემთხვევები, როდესაც შესყიდვის ცალ-ცალკე პროცედურებით განხორციელება გამართლებულია სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახსრების რაციონალური ხარჯვისა და საბიუჯეტო ასიგნებების დაზოგვის მიზნით, 500 ლარამდე ღირებულების მქონე სახელმწიფო შესყიდვები განხრციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პატივისცემით,

სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
თენგიზ ნასარიძე